

  ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი ვილნიუსის სამიტით კმაყოფილია. „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტზე ევროპის მიმართულებით წინ გადადგმული ნაბიჯი აზერბაიჯანს, საქართველოსა და მოლდოვას ალიანსის გენერალურმა მდივანმა მიულოცა. „მივესალმები სამიტის შედეგებს. მინდა საქართველოს, აზერბაიჯანსა და მოლდოვას მივულოცო მნიშვნელოვანი და წარმატებული ნაბიჯის გადადგმა. მათ წინ ჯერ კიდევ დიდი სამუშაო ელით“, – განაცხადა ანდერს ფოგ რასმუსენმა. მისი თქმით, ნატო იზიარებს და მხარს უჭერს მათი პარტნიორი ქვეყნების ფოკუსირებას ევროკავშირის პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის კუთხით. ამავე დროს გენერალურ მდივანს არ უხსენებია უკრაინა, რომელმაც სამიტზე ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე ევროკავშირთან ხელმოწერაზე უარი განაცხადა. მოლდოვასა და საქართველოში “აღმოსავლეთ პარტნიორობის” ვილნიუსის სამიტზე ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირება მოხდა. გარდა ამისა, ევროკავშირის სამიტზე ხელი მოეწერა აზერბაიჯანთან ხელშეკრულებას სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ.